შეთანხმება №14/02-216/305ც
„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის“ მიწოდების შესახებ“ 2014 წლის 23 დეკემბრის №14/02-216 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

22 დეკემბერი, 2015 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის/სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის, **ნინო ინწკირველის** სახით, **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **ზაზა სოფრომაძის** სახით და **სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“** (შემდგომში - მომსახურების სააგენტო), წარმოდგენილი მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის, **თენგიზ აბაზაძის** სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი,

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის“ მიწოდების შესახებ“ 2014 წლის 23 დეკემბრის №14/02-216 ხელშეკრულების 9.2 პუნქტისა მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 15 დეკემბრის №04/97036 (სააგენტოში რეგისტრაციის №181309, 15.12.2015წ.) წერილის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

შეთანხმების საგანია მხარეთა შორის 2014 წლის 23 დეკემბერს დადებული №14/02-216 ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, მასში ცვლილების შეტანა.

მუხლი 2. ცვლილება ხელშეკრულებაში

ხელშეკრულების 9.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2015 წლის პირველი იანვრიდან და ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.“.

მუხლი 3. დამატებითი პირობები

3.1 წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 3 (სამ) ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

3.2 შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3.3 შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

3.4 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

მუხლი 4. მხარეთა რეკვიზიტები

4.1 სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ - მის.: თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №67ა, ს/კოდი 202307404.

4.2 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - მის.: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 211333957.

4.3 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ - მის.: თბილისი, 0119, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი 202178927.

ნინო ინწკირველი	ზაზა სოფრომაძე	თენგიზ აბაზაძე